**სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი**

ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი, N6
0186 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
info@tpdc.ge

10/12/2025

MES 3 25 0001772257

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) 2025 წლის ანგარიში

ცენტრში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი - თეა შაყულაშვილი. ცენტრში წარმოდგენილ ყველა განაცხადზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და განსაზღვრულ ვადაში.
2025 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში რეგისტრირებულია 28 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 26. ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე, ცენტრს უარი არ უთქვამს. ამჟამად ცენტრის წარმოებაშია საანგარიშო პერიოდში შემოსული 2 განცხადება, რომელთაც პასუხი გაეცემა კანონით დადგენილ ვადაში. წარმოებაში არსებული განცხადებებიდან ერთ-ერთში, განმცხადებელის მიერ მოთხოვნილია გაცემული ინფორმაციის დაზუსტება.

გაცემულ საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე ცენტრში განცხადება არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ცენტრი, საჯარო ინფორმაციის გაცემას ახორციელებდა "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით.

ცენტრი პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას ახორციელებდა, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 მაისის N588327 ბრძანებით დამტკიცებული, "ცენტრის პერსონალური მონაცემების დამუშავების დებულების" შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო დაწესებულების მიერ, ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ცენტრის მიერ ხარჯი არ გაწეულა და მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ განხორციელებულა.

პატივისცემით,

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ხუციშვილი ეკატერინე

ელექტრონული დოკუმენტბრუნვა
მფლობელობა